ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
№ GSH170502

ქ. თბილისი 17 მაისი 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ხმალაძის სახით და მეორეს მხრივ, სს „თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ჯამრიშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ - (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ - (შემდგომ „შემსყიდველი“) ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით 20 მაისს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ ორგანიზებით გასამართი შეხვედრის უზრუნველსაყოფად სამგზავრო სატრანსპორტო საშუალების მძღოლთან ერთად დაქირავების მომსახურება (შემდგომში – მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულების საგნის კლასიფიკატორის კოდი: CPV60170000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **300 (სამასი)** ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო თანხის მიხედვით უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურის სამეურნეო სპეციალისტი ირაკლი მაღლაკელიძე.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი.

6.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2019 წლის 20 მაისს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდებისას განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. გარანტია

11.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურება სრულად დააკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი შესაბამისი სტანდარტებითა და ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

11.2. მომსახურების გაწევის პერიოდში, ავტოსატრანსპორტო საშუალებას დადებითად გავლილი უნდა ჰქონდეს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბერის №510 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. დამატებითი პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

13.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

დირექტორი
მიხეილ ხმალაძე

მიმწოდებელი:
სს „თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი“
ს/კ: 204382435
მის: ქ. თბილისი, გულიას ქ.. №1
ბანკი: სს „ვითიბი ბანკი“
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა GE73VT6600000052593408

დირექტორი
თეიმურაზ ჯამრიშვილი

LEPL Land transport agency

Digitally signed by LEPL Land transport agency
Date: 2019.05.23 16:40:46 +04'00'